პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემულია 29-ე წელი

შაბათი, 5 თებერვალი, 1949 წ. № 26 (8329). ფასი 20 კაპ.

ხვალ, 6 თებერვალს, სახალხო სასამართლოების არჩევნებია. ყველანი არჩევნებზე!

ხმა მიეცით კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს!

საქართველოს მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა შეასრულოთ ოთხ წელიწადში

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მიერ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში საქართველოს ბოლშევიკებმა პირობა მისცეს ბელადს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა ომისშემდგომ ხუთწლედს მიმდინარე წელს შეასრულებს. ბოლშევიკების სიტყვა მტკიცეა, იგი მუდამ ეყრდნობა რეალურ შესაძლებლობას, რეალურ საფუძვლებს.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკებმა ახალი სტალინური ხუთწლედის განხორციელებისათვის ბრძოლაში განვლილი სამი წლის მანძილზე შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს. ამ წარმატებებზე, რესპუბლიკის სოციალისტური სახალხო მეურნეობის უდიდეს მიღწევებზე მეტყველებს საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ ჯერ კიდევ 1947 წელს გადააჭარბა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს. მარშან სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, რის შედეგადაც მან ხუთწლედის ბოლო წლისათვის გათვალისწინებული საერთო პროდუქციის მოცულობის 86,9 პროცენტს მიაღწია.

საერთოდ რესპუბლიკის მრეწველობის ალმაცლობასთან ერთად წლითიწლობით იზრდებოდა მძიმე მრეწველობის — სოციალისტური წუობილების ამ დასაყრდენის ნეკერჩინი წონა. წარმოების საშუალებათა წარმოება რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციაში ომამდელი დონის 40,0 პროცენტიდან 1947 წელს 48 პროცენტამდე გაიზარდა. ომისშემდგომი ხუთწლედის განვლილ წლებში გორაკეცდა ქვანახშირის ამოღება, 85 პროცენტით გადიდდა ელექტროსადენურთა სიმძლავრე, 45 პროცენტით გაიზარდა მარგანეცის სასაკონლო პროდუქცია, ჩვენი დაზგათმშენებელი და მანქანათმშენებელი ქარხნები ყოველწლიურად ადიდებდნენ დაზგებისა და მანქანების გამოშვებას.

საწარმოო გეგმის რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულებასთან ერთად განვლილ წლებში, განსაკუთრებით 1948 წელს მრეწველობის მუშაკებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების ამაღლების, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის ბრძოლაში. იმის საილუსტრაციოდ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის თვითღირებულების თვითეული პროცენტით შემცირებას, საკმარისია მოვიყვანოთ ჩვენი დედაქალაქის მრეწველობის მაგალითი. შარშან თბილისის მარტო მსხვილი მრეწველობის მიერ სასაკონლო პროდუქციის თვითღირებულების გეგმასთან შედარებით ორნახევარი პროცენტით შემცირებით თერმიტ თვეში 41.500 ათასი მანეთი მიეიღეთ.

მრეწველობის შარშანდელი მუშაობის ერთ-ერთი ფრიად თვალსაჩინო მიღწევა იყო მოსკოველთა თაოსნობით განაღებული სოციალისტური შეჯიბრება ზეგეგმითი დაგრეგმებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, ტრანსპორტისა და შენებლობათა მუშაკებმა სასახელოდ შეასრულეს ამ მიმართულებით ნაკისრი ვალდებულება, მათ სახელმწიფოს მისცეს 168 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგრავება.

ეს წარმატებანი მოპოვებულია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებით, საწარმოებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებით, სამეურნეო ხელმძღვანელობისადმი პარტიული კონტროლის უფლების უნარიანი გამოყენებით, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით, სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით. საწარმოთა კოლექტივები, მჭიდროდ დარაზმულნი ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ენერგიის დაუზოგავად შრომობდნენ ახალი ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის. ამის შედეგი იყო, რომ საწარმოთა დიდმა უმრავლესობამ ვადამდე გაანაღდა ხუთწლედის მესამე წლის დავალებანი.

1948 წლის საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებას და ახალი სამეურნეო წლის წარმატებით დაწყებას დიდად შეუწყო ხელი საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად დედაქალაქის 10 მოწინავე საწარმოს ინიციატივით გაჩაღებულმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის თითქმის ყველა საწარმო. 25 იანვარს — ყრილობის გახსნის დღისათვის, თვიური გეგმები შეასრულა თბილისის 25 მსხვილმა საწარმომ. ყრილობის გახსნისადმი ნაკისრი ვალდებულებები გაანაღდეს აგრეთვე ქუთაისისა და ბათუმის, ფოთისა და სოხუმის ათობით საწარმომ, ზესტაფონელმა მეტალურგებმა და ხაშურელმა რკინიგზელებმა. იანვარში შესამჩნევად გაუმჯობესეს მუშაობა ტყიბულელმა მეშახტეებმა. თბილისის ორთოქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანამ მრავალი თვის ჩამორჩენის შემდეგ პირველად შეძლო ორთქლმავლების შეკეთების იანვრის გეგმის შესრულება.

მაგრამ ჩვენს პარტიას, საბჭოთა ხალხს არასოდეს არ სჩვევია მიღწეულით დაკმაყოფილება. როგორც საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი ამხანაგი კ. ჩარკვიანი მიგვითითებს, „...ჩვენ მოგველის უფრო რთული მუშაობა, ვინაიდან ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების ზრდასთან ერთად, ფართოდება კომუნიზმის მშენებლობის ფრონტი და, მაშასადამე, იზრდება ჩვენი ამოცანებიც“. კერძოდ, საქართველოს მრეწველობის მუშაკების წინაშე დასახულია ამოცანა სამეურნეო წლის პირველი თვეებიდანვე ისე წარმართონ მუშაობა, რომ აუცილებლად უზრუნველყონ ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულება, საქართველოს ბოლშევიკების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის განაღდება.

გასაღებს ამ ამოცანის შესრულებისათვის ჩვენ გვაძლევს ახალი ხუთწლედის განვლილი წლების მუშაობის გამოცდილება, სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმების გამოხახვა, სტახანოველთა მაღალსაყოფიერი შრომის, მათი მუშაობის მეთოდების საყოველთაო კეთვნილებად გადაქცევა. ჩვენს მრეწველობაში და ტრანსპორტზე ათასობით აღიზარდნენ წარჩინებული სტახანოველები, წარმოების ნოვატორები, რომლებმაც პროფესიის საფუძველიანი დაუფლებით, თავიანთ დაზგებსა და მანქანებზე ტექნოლოგიურ გაუმჯობესებათა შეტანით, საშუმაო დროის მაქსიმალური გამოყენებით პროდუქციის გამოშვმავების შესანიშნავ ნაყოფიერებას მიაღწიეს, სამ წელიწადში ორი-სამი პირადი ხუთწლიანი ნორმები შეასრულეს. ამ წარჩინებულ ტახანოველთა გამოცდილების ფართოდ დანერგვა, იმის მიღწევა, რომ თვითეული მუშა გადაჭარბებით ასრულებდეს გამომუშავების ყოველდღიურ ნორმებს, ძირითადად წყვეტს გამარჯვების საკითხს. ამასთანავე საწარმოების სამეურნეო ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საწარმოთა დროულად მომარაგებას ნედლეულით, დამზადარე მასალებით, სათბობით, უზრუნველყონ დაზგა-დანადგარების შეუფერებელი, გამართული მუშაობა, შეუქმნან მუშებს მაღალსაყოფიერი შრომის ყველა აუცილებელი პირობა.

დაეარაზოთ მთელი ძალები დიდი ბელადისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად! მიმდინარე წელს შესასრულოთ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედი!

ᲡᲣᲑᲒᲠᲝᲪᲘᲙᲚᲘ ᲙᲣᲚᲭᲣᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲠᲩᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲘᲔᲕᲘ, 2 თებერვალი. (საკდსი). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ და უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება მიიღეს უკრაინაში 1949-1950 წლებში ციტრუსების, ეკალაპტუსა და სხვა სუბტროპიკული კულტურების გაშენების გეგმის შესახებ.

ორი წლის მანძილზე ოდესის, ხერსონის, ნიკოლაევის, ვინიცის, იზმაილის და იმიერკარპატის ოლქების კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში დ კოლმეურნეთა საკარიდამო ნაკვეთებზე, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში დარგულ იქნება 100 ათასზე მეტი სუბტროპიკული ხე.

მუკაჩევოს და ლიმანის სახელმწიფო ხეხილის სანერგეებში და საბჭოთა მეურნეობა „ვიტამინი“ დაიწყებენ ციტრუსოვანთა ნერგების გამოყვანას.

დაიწყო მზადება ციტრუსოვანთა ბაღების გასაშენებლად. რესპუბლიკის 100 კოლმეურნეობაში აკეთებენ თხრილებს. სულ უკრაინის კოლმეურნეობებში თხრილებში გადარგულ იქნება 18.500 ლიმონის ნერგი.

საქართველოდან კიევს მიემგზავრება ჩაის და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბრიგადა, რომელიც მონაწილეობას მიიღებს უკრაინაში სუბტროპიკული კულტურების დანერგვასთან დაკავშირებულ საკითხთა გადაწყვეტაში.

ᲓᲘᲠᲘᲡᲔᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ

ᲐᲡᲐᲜᲫᲐ. (საკ. კორ.). აქ გაჩაღებულია ფართო აგიტაცია სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების სასარგებლოდ.

გულმოდგინე შეხვედრა მოუწყეს სოფელ ჭობორეთის, ძველის, ორგორისა და ოშორის მშრომელებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატს ლარისა რაჟდენის ასულ ლებანიძეს. სახალხო მოსამართლის კანდიდატმა ლ. ლებანიძემ აღიარა ამ მეგობრებისგან, რომ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

ასეთივე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სოფელ ძველის ამომრჩეველებმა სახალხო მსაჯულთა კანდიდატს მ. ზურაბაშვილს, ნ. ზედგინიძეს და სხვ.

ᲒᲠᲔᲙᲝᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲡᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲨᲘ

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ რაიონში ლამაზად და მომზადებულად არის გაფორმებული სახალხო სასამართლოების არჩევნების მეთერთმეტე საარჩევნო ოლქის № 31 საარჩევნო პუნქტი. დიდ ინტერესს იწვევს აგიტატორთა საუბრები საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შედეგებზე. აგიტატორები ე. ხუდადე, ს. ციხისელი ამომრჩეველებს მოუთხრობენ დედაქალაქის მშრომელთა წარმატებების, ახალი ამოცანების, სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების საქმიანობის შესახებ.

ამომრჩეველები ხშირად მიდიან საარჩევნო პუნქტში, სადაც მორიგე აგიტატორები ესაუბრებიან მათთვის საინტერესო საკითხებზე.

ამ დღეებში ჩატარდა ლექცია-მოხსენებები თემებზე: „ლენინი და სტალინი სოციალისტური კანონიერების შესახებ“, „სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში“ და სხვ. ამომრჩეველთა მონაწილეობით გამოშვებულია კედლის გაზეთის „ამომრჩეველის ხმა“ ორი ნომერი.

ამომრჩეველთა შორის დიდი აღფრთოვანებაა გამოიწვია სახალხო მსაჯულთა კანდიდატების — 26 კომბინატის სახალხოს ქარხნის სტახანოველების ს. ჭოხონელიძისა და ვ. ხეჩუაშვილის საწარმოო წარმატებებმა. ისინი არჩევნების აღსანიშნავ სტახანოურ ვახტზე დგანან და ყოველდღიურ დავალებებს 300 პროცენტით ანაღდებენ. მათ დიდი ხანია შეასრულეს 5-წლიანი დავალებანი. ს. ჭოხონელიძემ და ვ. ხეჩუაშვილმა ამომრჩეველებს პირობა მისცეს უფრო მეტი თავდადებით იმუშაონ, გაამართლონ ხალხის ნდობა.

ამჟამად საარჩევნო ჰუნქტში მთავრდება მზადება არჩევნებისათვის. ლამაზად არის გაფორმებული კაბინეტები, გამზადებულია ბიულეტენების ჩასაშვები ყუთები.

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ რაიონის მეორე საარჩევნო ოლქის მეშვიდე საარჩევნო პუნქტი ლამაზად არის გაფორმებული. საარჩევნო პუნქტთან არსებულ აგიტკოლექტივმა (ხელმძღვანელი ი. თოფურიძე) გამოფენილია საარჩევნო ლიტერატურა. აქ ყოველდღიურად იყრიან თავს ამომრჩეველები. აგიტატორები მათთან ატარებენ საუბრებს სსრ კავშირის კონსტიტუციის, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედისა და საერთაშორისო საკითხებზე.

დიდი ინტერესით ჩატარდა დიასახლისებთან საუბრები თემაზე: „არჩევნები ჩვენში და ბურჟუაზიულ ქვეყნებში“, „საბჭოთა მოქალაქის უფლება-მოვალეობა“. აგიტატორები ამომრჩევლებს აცნობენ სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების ბიოგრაფიებს.

ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ რაიონის მეცამეტე საარჩევნო ოლქის მეოთხმეტე საარჩევნო პუნქტი კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შენობაშია მოთავსებული. კარგა ხანია, რაც მოლიანად შემოწმდა და დაზუსტდა ამომრჩეველთა სიები. თვითეული ამომრჩეველი იცნობს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების შრომითს და საწარმოო საქმიანობას.

საარჩევნო პუნქტი ორგანიზაციულ-ტექნიკურად მზად არის არჩევნებისათვის.

ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ რაიონის სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების № 23 საარჩევნო ოლქის საარჩევნო პუნქტ № 25-ში გაცხოველებული მუშაობაა. აქ სისტემატურად მორიგეობენ აგიტატორები, ამომრჩევლებს ეხმარებიან სიის შემოწმებაში. ამომრჩევლებმა იციან თავიანთი რიგითი ნომრებიც.

განსაკუთრებით აქტივობას იჩენენ აგიტატორები რ. კაკეკასიძე, თ. ყვანია, ნ. შენგელია და სხვ. ისინი მიდიან ამომრჩეველთა ბინებში, ესაუბრებიან სახალხო მოსამართლის კანდიდატს შ. ცინცაძის, სახალხო მსაჯულთა კანდიდატების მეცნიერ მუშაკის ქ. ბარათაშვილის, მასწავლებელ ლ. გამსახურდიას და სხვების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ.

საარჩევნო პუნქტი მზად არის არჩევნების დღის — 6 თებერვლისათვის.

ᲛᲔᲒᲖᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲠᲣᲜᲐᲕᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲔᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ

მოსკოვის 103 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა წერილმა ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი საწარმოებში საბრუნავ თანხათა მიმოქცევის დაჩქარებისა და ამ გზით სახელმწიფოსათვის 400 მილიონი მანეთის განთავისუფლების შესახებ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაკებს შორის. უკვე რამდენიმე დღეა საწარმოებში შეუდგნენ იმ ტექნიკურ-ორგანიზაციული საკითხების შესწავლას, რომლებიც დაკავშირებული არიან საბრუნავ თანხათა მიმოქცევის დაჩქარებასთან. მოცულ რიგ საწარმოებში ეს საკითხები განიხილეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე და მიიღეს კონკრეტული ვალდებულებები.

რა უნდა გააკეთონ დაზგათმშენებლებმა

3 თებერვალს კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელ ქარხანაში შედგა მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიტინგი საბრუნავ თანხათა მიმოქცევის დაჩქარების თაობაზე მოსკოვის 103 მოწინავე საწარმოს კოლექტივთა ინიციატივის საკითხის განსახილველად. მიტინგის მოწვევამდე ქარხანაში შესწავლილ იქნა ეს საკითხი და დაისახა ღონისძიებები საბრუნავ თანხათა მიმოქცევის ვადის მნიშვნელოვნად შემცირების მიზეზენად.

ქარხნის დირექტორის ა. ფელაძის მოხსენების გამო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება:

1949 წლის მიაღწიოს საბრუნავ თანხათა მიმოქცევის დაჩქარებას 15 დღით და 205 დღის ნაცვლად მთელი საბრუნავი თანხის ერთჯერადი მიმოქცევა მოახდინოს 190 დღეში;

საბრუნავი თანხის მიმოქცევის დაჩქარებისა და არაალაკვიდური მასალების რეალიზაციის საშუალებით გაუთავისუფლოს სახელმწიფოს 1.400.000 მანეთი საბრუნავი თანხა.

ამ ვალდებულებათა შესასრულებლად ქარხნის კოლექტივმა საჭიროდ ჩათვალა:

მიმდინარე წლის მესამე კვარტალიდან აამუშაონ საკარგეტო დანადგარები და დაზგების („დიპ-300“) დამუშავება აწარმოონ ნაკადურად;

დაამუშაონ და გამოიყენონ სულ ცოტა 300 სამარჯვი მუშათა შრომის ნაყოფიერების გასაადიდებლად;

შემოიღონ დიდი მოცულობის დეტალების პირველადი დამუშავება განივ-საღარავ დაზგებზე, ნაცვლად განივ-საშალაშენებელი დაზგებისა, ვინაიდან გამოცდილებით დადასტურდა, რომ განივ-საღარავ დაზგებზე დეტალების დამუშავება უფრო ადვილია;

ამრავლონ ლითონის სწრაფ ჭრაზე გადასულ სტახანოველთა რიცხვი და მოაწესრიგონ დეტალების შიდასაამქრო ტრანსპორტირების მექანიზაცია, რაც სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაათავისუფლებს 5 მუშას.

ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა დაწყებულ იქნას არაალაკვიდურ ფასეულობათა აღრიცხვა, ხოლო თებერვლის ბოლოდან შეუდგნენ ამ ფასეულობათა რეალიზაციას, რაც სულ ცოტა 400.000 მანეთ შემოსავალს მისცემს ქარხანას.

მთავარია საწარმოო ციკლის შემცირება

საბრუნავი თანხების მიმოქცევის დაჩქარების მასაღწევად თბილისის სპილენძსადენავ ქარხანაში შეუდგნენ არსებულ შესაძლებლობათა გამოელენგბას და შესწავლას. ქარხანაში მთავარ ამოცანად დაისახეს საწარმოო ციკლის შემცირება.

ამ მიზნის მისაღწევად დიდი მუშაობაა გაჩაღებული ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებისათვის. ქარხნის ტექნოლოგებმა ამოცანად დაისახეს გადიდდნენ სპილენძსადნობი ღუმელის სიმძლავრე სულ ცოტა 10 პროცენტით, რის შედეგადაც შემცირდება სპილენძის ღნობის ციკლი და ყოველთვიურად მიიღებენ 2 ტონა მაზეთის ეკონომიას. ამასთან ეს გამოიწვევს პროდუქციის გაიაფებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. მაგრამ მარტო ეს არ ქმარა. საჭიროა აგრეთვე მზა პროდუქციის რეალიზაციის დაჩქარება. ამ მიმართულებით გადაწყვეტილი აქვთ ნორმასთან შედარებით საშალოდ 2 დღით შეამცირონ საწყობში მზა პროდუქციის გაჩერება.

ამის შედეგად ქარხანა რამდენიმე დღით დაჩქარების თანხების მიმოქცევას და სახელმწიფოს მრავალ ათას მანეთს გაუთავისუფლებს.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

**ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲗᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხ. ლ. ასათიანის სიტყვა

(თბილისის მაუდის ფაბრიკის მრავალდაზგოსანი)

ამხანაგებო! თბილისის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობას ახალი საწარმოო გმირობებით შეხვდა. ფაბრიკამ 1948 წლის საწარმოო დავალება სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შეასრულა. 1948 წლის განმავლობაში გეგმის გადამტებით გამოშვებულია 116 ათასი მეტრი ქსოვილი. საგულისხმოა, რომ საწარმოო გეგმა შესრულებულია ყველა მაჩვენებლების მიხედვით. ფაბრიკამ სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით გასული წლის განმავლობაში 4.587 ათასი მანეთი დაზოგა, რამაც საშუალება მოგვცა 2.271 ათასი მანეთით შეგვემცირებინა სახელმწიფოსაგან მიღებული დოტაცია.

ცხადია, ფაბრიკის მიღწევები მოპოვებულია მთელი კოლექტივის, უწინარეს ყოვლისა, კომუნისტებისა და კომკავშირელების კარგი და თავდადებული მუშაობით. ფაბრიკის 4 ათასზე მეტმა მუშამ 1948 წლის ნორმები ვადამდე შესასრულა, რის შედეგად გამოშვებულია 180 ტონა ნართი, 157 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი და 116 ათასი მეტრი შალეული.

ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად იუსტრა 1948 წლის დეკემბერში და 1949 წლის იანვარში გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 20 ათასი მეტრი შალის ქსოვილი, პროდუქციის თვითღირებულება შეემცირებინა 350 ათასი მანეთის რაოდენობით და დაეზოგა 7 ტონა მატყლი.

მოვახსენებ ყრილობას, რომ ეს ვალდებულება ფაბრიკის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდა.

ფაბრიკამ 25 იანვარს დღის 4 საათზე, ე. ი. ყრილობის გახსნისათვის შესასრულა იანვრის საწარმოო გეგმა. თვისა და 25 დღის განმავლობაში პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია ნახევარ მილიონ მანეთზე მეტით, დაზოგილია 18 ტონა მატყლი, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 35 ათასი მეტრი შალის ქსოვილი. ასეთი წარმატებით იწყებს თავის მუშაობას მაუდის ფაბრიკის კოლექტივი 1949 წელს.

ფაბრიკის კოლექტივს ყოველთვის ახსოვს მადალი შეფასება, რაც მას მიანიჭა საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა თბილისის XIX საქალაქო პარტკონფერენციაზე. ეს შეფასება გვავალებს, რომ 1949 წელს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე 1948 წელს ვმუშაობდით.

ამხანაგებო! 15 წელია, რაც მაუდის ფაბრიკაში ვმუშაობ, როგორც ომამდე, ისე სამამულო ომის პერიოდში და ახლაც საწარმოო დავალებას პირნათლად ვასრულებ. 4 საქმოვ დაზგას ვემსახურები და საწარმოო დავალებას ყოველდღიურად ვასრულებ არანაკლებ 130-140 პროცენტისა.

შეჯიბრებაში, რომელიც დაიწყო ფეიქართა შორის, ვიკისრე ხუთწლიანი გეგმა შემესრულებინა სამ წელსა და 6 თვეში. სამი წლის გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებული მაქვს 14.600 მეტრი ქსოვილი. ამ წარმატებას მივაღწიე იმით, რომ წინასწარ ვეამზადებ ჩემს სამუშაო ადგილს, მუშაობის დაწყებამდე ვასუფთავებ და ვზეთავ ჩემს ოთხივე დაზგას, მისაქსელს წინასწარ ვიღებ იმ რაოდენობით, რომ არ მჭირდეს შეფერხება. წვრილმან შეფერხებას, რომელიც დაზგების გაჩერებას იწვევს, მე თვითონ ვასწორებ და არ ვკარგავ დროს ქვეოსტატის ლოდინში. ყოველივე ამის შედეგად სამუშაო დროს მთლიანად ვიყენებ და შედეგიც კარგია.

ჩვენს ფაბრიკაში ყველაფერი წესრიგზე როდია. მიუხედავად მიღწეული წარმატებისა, მუშაობაში ნაკლოვანებანიც გვაქვს. ფაბრიკაში დღეისათვის ორმოცდაათი მონარდე ვერ ასრულებს გამომშვაების ნორმას. ეს რიცხვი შედარებით წარსულთან ბევრად ნაკლებია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია. ამის გამო ჩვენ ყოველდღიურად ვკარგავთ დაახლოებით 200 კილოგრამს ნართს და ამ მტრეზე მეტ ხამ ქსოვილს. ამასთანავე სხვადასხვა განყოფილებაში, ტექნოლოგიური პროცესების დარღვევის შედეგად, არ არის დაცული როგორც ნართის, ისევე ხამი ქსოვილებისა და მზა ნაწარმის ხარისხი. არის შემთხვევები, რომ გარეცხილ მატყლში ტოვებენ მეტ ქონს, რაც გვაღონებს ახლეს მზა ნაწარმის ხარისხზე.

ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად უნდა იმუშაონ ფაბრიკის სამეურნეო ხელმძღვანელობამ, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა, მთელმა კოლექტივმა, რათა უფრო მეტი წარმატება მოვიპოვოთ 1949 წელს.

ფაბრიკის კოლექტივის სახელით პირობას ვაძლევ ყრილობას, ყოველი ორნე ვიხმარით იმისათვის; რომ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანმა თბილისის XIX საქალაქო პარტკონფერენციაზე. ეს შეფასება გვავალებს, რომ 1949 წელს ვიმუშაოთ უკეთ, ვიდრე 1948 წელს ვმუშაობდით.

ამხ. ი. ძეგისაშვილის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) ახალ ციხის რაიკომის მდივანი)

ამხანაგებო! ახალციხის რაიონის პარტიული ორგანიზაცია საქართველოს კომპარტიის XIV ყრილობაზე მოვიდა რაიონის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით.

რაიონის მრეწველობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. 1940 წლის დონეთან შეფარდებით იგი გაიზარდა 150 პროცენტით. 1948 წელს საწარმოთა მიერ პროდუქციის გამოშვებისა და ახალ საწარმოთა მშენებლობის გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. რაიონის ძირითადი საწარმოები გადაყვანილ რენტაბელურ ნი 1948 წლის გაბმულობაში ზეგეგმითი დგროვების სახით ჩვენს სამშობლოს მისცეს 1.547.000 მანეთი. მთელმა რიგმა საწარმოებმა და მშენებლობებმა დიდად გადაამარჯეს გეგმას, ამასთან შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება და აამაღლეს შრომის ნაყოფიერება.

ახალციხის რაიონში სწრაფი ტემპით ვითარდება ქვანახშირის მრეწველობა. ახალციხის ქვანახშირმა დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის სათბობით უზრუნველყოფის საქმეში. ამჟამად გაცხოველებით მიმდინარეობს შახტების მშენებლობა.

ახალი შახტების მშენებლობის გეგმა 1948 წელს შესრულებულია 107 პროცენტით, სამინეთო მშენებლობის გეგმა—128 პროცენტით.

ჩქარი ტემპით მიმდინარეობს № 3 შახტის მშენებლობა, რომელიც საექსპლოატაციოდ გადაეცემული უნდა იქნას მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში. მნიშვნელოვანი სამუშაოები არის შესრულებული № 2 და № 4 შახტებში. რამდენიმე დღეში დაიწყება აგრეთვე № 5 შახტის მშენებლობა. ეს შახტები საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნება 1950 წელს.

ამჟამად ორი შახტი მუშაობს ქვანახშირის ამოღებაზე.

აღსანიშნავია, რომ პირველი შახტიდან რკინიგზის სადგურამდე, საღაც ვაგონები უნდა დაიტვირთოს ნახშირით, ძნელი ხდება ქვანახშირის გადმოზიდვა ავტომანქანებით 7-8 კილომეტრის მანძილზე. ქვანახშირი გადმოზიდულ უნდა იქნას საბაგირო გზით, რომლის მშენებლობაც მიმდინარეობს ამჟამად. დარჩა მხოლოდ სამონტაჟო სამუშაოები, რომელთაც ბეტონსმტეტად აჭიანურებს „საშახტმონტაჟის“ სამმართველო. საჭიროა დაჩქარდეს საბაგირო გზის მშენებლობა.

ვინაიდან ახალციხის რაიონში ქვანახშირის მრეწველობა ახალია და ჯერ კიდევ არ ჰყავს საკუთარი კადრები, საჭიროა საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა გაგვიწიოს დახმარება გამოცდილი კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით ათისთავების, მბრიგადების, მბურეველებისა და მემანქანეების გამოგზავნით, რომლებიც ადგილობრივ ახალგაზრდა კადრებს დაიმარებიან კვალიფიკაციის ამაღლებაში.

რაიონის პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდების, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გუმუჯობესებისა და კულტურულად მოწყობის საქმეში.

თუ რაიონის კოლმეურნეობებმა 1947 წელს საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე შემოდგომის ხორბალი მიიღეს 7,6 ცენტნერი, 1948 წელს აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად განხორციელების და თესლბრუნვის შედეგად მიღებულ იქნა 10,1 ცენტნერი, რაც 2,2 ცენტნერით აღემატება 1940 წლის საშუალო მოსავალს.

სერიოზული ღონისძიებანი განვახორციელეთ რაიონში ხეხილის ბაღების თოლოსა და მოსავლიანობის გადიდებისათვის, რამაც სათანადო შედეგი მოგვცა. შარშან გეგმით გათვალისწინებული 45 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მივიღეთ 50 ცენტნერი ვაშლი. რაიონის მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა უფრო დიდ მოსავალს მიაღწიეს მეზიარეობაში. მათ თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 70-110 ცენტნერი ვაშლი. სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მებაღეობის მერგოლერმა პ. გორგაძემ ჰექტარზე მიიღო 105 ცენტნერი ხილი. ახალციხის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა კაზაროვმა მიჩინილი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწია 210 ცენტნერი ვაშლი.

უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დიდი ღონისძიება განხორციელდა ახალდასახლებულ კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გუმუჯობესებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ ამ ხნის განმავლობაში ახალდასახლებულმა კოლმეურნეებმა აშენეს 815 ახალი საცხოვრებელი სახლი. ამჟამად შენდება 179 სახლი. ამ მიზნით კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსაგან მიიღეს გრძელვადიანი კრედიტი 7.248.000 მანეთის რაოდენობით, აგრეთვე საჭირო საშენი მასალა.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კოლმეურნეობებმა ფართოდ მოჰკიდეს ხელი ვენახის გაშენებას.

ცნობილია, რომ მესხეთში მევენახეობის კულტურა ძველად ფართოდ იყო განვითარებული, რაც ისტორიულ წარსულში შემოსეულმა მტრებმა გაანადგურეს. ახლა ჩვენმა კოლმეურნეებმა მტკიცედ გადწყვეტეს, რათა ეს ძვირფასი კულტურა კვლავ აღადგინონ. ჩვენს რაიონში სულ გაშენებული იქნება 1.030 ჰექტარი ვენახი. ამ დიდი ამოცანის შესრულებაში საჭიროა დახმარება გაგვიწიონ საქართველოს მევენახეობის რაიონებმა. მე ვგონი, კარგი იქნებოდა, რომ ისინი იკისრებდნენ მესხეთის რაიონების შეფობას მევენახეობის განვითარების საქმეში პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად.

რაიონის პარტორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია კომუნისტების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისა და შინაპარტიული მუშაობის გაუმჯობესებისათვის. რაიონის 1.479 კომუნისტიდან პარტიული გაწევრიანების ქსელში ჩაბმულია 780 კომუნისტი, 569 კომუნისტი დამოუკიდებლად მუშაობს მარქსიზმ-ლენინიზმის დასაუფლებლად. მათთვის ეწყობა ლექციები და კონსულტაციები. პროპაგანდისტებს, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებს, პარტორგანიზაციების მდივნებისა და პარტიულ-საბჭოთა აქტივისათვის რიგ-კომთან შექმნილია სემინარები. აგრეთვე მოწყობილია პარტიული სკოლა. მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი როდია გაკეთებული. 140 კომუნისტი დარჩენილია პარტიული სწავლების გარეშე.

ახალციხის რაიონის ბოლშევიკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ბოლშევიკურად განახორციელონ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებანი.

ამხ. მ. ჯაშის სიტყვა

(სატყეო მეურნეობის მინისტრი)

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ჩარკვიანმა სატყეო მეურნეობის სამინისტროს დაუსახა შემდეგი პირველი რიგის ამოცანები: გაამწვანოს ტყე უტყეო და მცირეტყიან რაიონებში, შექმნას სანერგე მეურნეობა საჭირო მასშტაბით და მოსაწილეობა მიიღოს საკოლმეურნეო მინდვრებზე მინდოცრისაცავი ტყის ზოლების გაშენებაში.

უნდა ვაღიაროთ, რომ ტყის ხელოვნურად გაშენებას დღემდე არ ეკუთვნა საკმაო ყურადღება. 20 წლის მანძილზე მთელ რესპუბლიკაში ხელოვნურად გაშენდა 8.200 ჰექტარამდე ტყე. თუმცა 1948 წელს მუშაობა ტყის გაშენებულად მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

ტყის გაშენების ნელი ტემპი უწინარეს ყოვლისა სანერგე მასალის ნაკლებობით აიხსნება. ახლა სამინისტროს მნიშვნელოვნად იდიდებს სანერგე მეურნეობის ფართობს.

გაფართოდა მუშაობა აგრეთვე ტყეების ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შესაწყობად. ხუთწლედის განმავლობაში განახლებულ იქნება 25.000 ჰექტარი ტყე, ნაცვლად 18.000 ჰექტარისა.

სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეკალიპტის გაშენებას. ხუთწლედის სამ წელიწადში გაშენებულია 840 ჰექტარი ეკალიპტი.

მაგრამ ეკალიპტის გასაშენებლად საკმაო მუშაობა ვერ იქნა გაწეული, განსაკუთრებით კი აფხაზეთის სატყეო მეურნეობის სამმართველოს ხაზით. აფხაზეთში ყველა პირობა არის ეკალიპტის ტყის გასაშენებლად, მაგრამ გაშენებულია დასარგავად გათვალისწინებული საერთო რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტი.

ამხანაგმა ჩხეიძე ნიშვნელმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საკვანძო მთავრობამ მიიღო დადგენილება ჩვენს რესპუბლიკაში ეკალიპტის გაშენების შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, ეკალიპტის ხის რაოდენობა 1950 წლიდან დაწყებული, ხუთწლედის დამლევიასათვის უნდა გადიდდეს 100 მილიონამდე. 1950-1955 წლებში გაშენდება 11 სახელმწიფო ქარსაცავი ზოლი 700 კილომეტრი სიგრძით და 8.700 ჰექტარი ფართობით. სულ კოლეგთისა და ამერეთის რაიონებში დაირგება 20 მილიონი ეკალიპტი.

ჩვენი ამოცანაა პირნათლად შეასრულოთ ეს დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დავალების შესაბამისად გარდაბანის სატყეო მეურნეობაში ზრდიან კვიპაროსისა და ალვის ხის ნერგებს სამგორის სარწყავი სისტემისათვის. 1947 წელს ამ სატყეო მეურნეობამ უკვე მისცა ქართლის კოლმეურნეობებს ალვის ხის 500 ათასამდე ნერგი ქარსაცავი ზოლების გასაშენებლად.

სამინისტროსა და სატყეო მეურნეობათა ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, როგორც ამხანაგმა ჩარკვიანმა მიგვითითა, თვითეულ სატყეო მეურნეობაში მოვაწყოთ სანერგე მეურნეობა, რომ არა მარტო დავაკმაყოფილოთ საკუთარი მოთხოვნილება საჭიროებისა მასალაზე, არამედ კიდევაც მივაწოდოთ სტანდარტული სარგავი მასალა კოლმეურნეობებსა და სხვა ორგანიზაციებს.

ტყის გაშენების 1948 წლის გეგმა სატყეო მეურნეობის სამინისტროს შეასრულა: დათესვისა და დარგვისა 101,3 პროცენტით, სანერგეთა გაშენების — 102,2 პროცენტით, ნიადაგის მომზადების — 105,6 პროცენტით, კულტურების მოვლის — 103,1 პროცენტით და კულტურათა შეცვლისა — 110 პროცენტით.

თუმცა ტყის დათესვისა და დარგვის, სანერგეთა მოწყობის გეგმა გაღატარებებით არის შესრულებული, მაგრამ 1948 წლის გაზაფხულზე გაშენებული კულტურები გახარებული მხოლოდ 63 პროცენტის რაოდენობით. ეს სრულიად არ არის საკმარისი.

მთლიანად არ არის შესრულებული ტყის ბუნებრივი განახლებისათვის ხელის შეწყობის ღონისძიებათა გეგმა— ტყის აღდგენისა და დაცვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება, რომელიც მინიმალურ ხარჯებს მოითხოვს და ამავე დროს დიდ ეფექტს გვაძლევს.

ტყის გაშენებისა და მოვლისათვის მთელი მუშაობა ჩვენში ხელით წარმოდს. ეს აბრკოლებს ტყის დიდი მასშტაბით გაშენებას. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ამ სამუშაოთა შექანიზაცია. ადგომ საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს საამისოდ არ მოეპოვება თითქმის არავითარი ბაზა. უნდა ითქვას, რომ სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო სრულიად არადამაკმაყოფილებელ დახმარებას გვიწევს როგორც მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ისე ოპერაციული ხარჯებისა და კაპიტალური დაბანდებისათვის სახსრების გამოყოფის მხრივ.

ამხანაგმა ჩარკვიანმა საანგარიშო მოხსენებაში თბილისის XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე აყრადღება მიაქცია ქალაქის გარშემო დიდი მწვანე მასივების შექმნას, აგრეთვე მუშაობის გაფართოებას საგარეუბნო კურორტების — კოჯრის, კიკეთის, ნაგლინისა და წყნეთის კეთილმოსაწყობად და იქ ტყის გასაშენებლად.

1950-55 წლებში ქალაქის გარშემო და ქალაქის ახლომახლო რაიონებში გაშენდება სულ ცოტა 5.000 ჰექტარი ტყე, ე. ი. 1950 წლიდან ყოველ წელიწადზე მოდის 1.000 ჰექტარი ნარგავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის თანახმად, 1947 წელს ყველა ტყე, საკოლმეურნეო ტყეების გარდა, გადაეცემული სატყეო მეურნეობის სამინისტროს გამგებლობაში.

არასრული ცნობებით, სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციას უკავია, ამ-ჟამად 10.500-ზე მეტ ჰექტარს შეადგენს. აქედან კოლმეურნეობებს უკავიათ 8.863 ჰექტარი და სხვა ორგანიზაციებს—1.697 ჰექტარი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 25 მარტის დადგენილებით კატეგორიულად აიკრძალა, რომ, როგორმე ორგანიზაციამ დაიკავოს სახელმწიფოს სატყეო ფონდის მიწები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ნებადაურთველად.

სატყეო მეურნეობის სამინისტრო მტკიცედ მოითხოვს, რომ სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები, რომლებიც საკოლმეურნეო და სხვა ორგანიზაციებს უკავიათ, დაუბრუნდეს მას დაუგვიანებლად და იქ სათანადო ტყის კულტურის სამუშაოთა შესასრულებლად. ამ საქმეში სატყეო მეურნეობის სამინისტროსა და მის აღგილობრივ ორგანოებს უნდა დაეხმარონ პარტიის რაიონული კომიტეტები და რაიონული აღმასკომები.

საქართველოს ტყეები, რომლებიც უმთავრესად მთის კალთებზეა განლაგებული, მარტო ძირფესვი მეჩენსა და შეშის მიღების წყაროს როდი წარმოადგენენ, მათ აგრეთვე აქვთ კეთილგავლენიანი, წყლის დამცავი, ნიადაგდამცველი და ჰავის მარეგულირებელი მნიშვნელობა. ეს გარემოება სატყეო მეურნეობის სამინისტროს და მის ადგილობრივ ორგანოებს ავალებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მათს წესიერ ექსპლოატაციას.

ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში საქართველოს სატყეო და ქალაღლის მრეწველობის სამინისტრომ, უნდა შესასრულონ საკუთარი ამ ვარაუდით, რომ უახლოეს წლებში შესაძლელი გახდეს დაშორებული სატყეო მასივების ათვისების დაწყება, რომელსაც მერქნის დიდი საექსპლოატაციო მარაგები აქვთ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკაში ტყესაკაფი ფონდი 1948 წლისათვის გამოყოფილი იყო 1.691 ათასი კუბური მეტრის რაოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ ტყესაკაფი თავის დროზე იქნა გამოყოფილი, ზოგიერთმა ხე-ტყის დამამზადებელმა ორგანიზაციამ მთლიანად ვერ ათვისა ოგი, არის ისეთი შემთხვევებიც, რომ გამოყოფილ ტყესაკაფ ფონდზე უარს ამბობენ ამ საბაბით, რომ ტყესაკაფი დაშორებულია და იქ ჯა არ მიდის. 1947 წელს გამოყოფილი ტყესაკაფი ფონდი ათვისებულია 80 პროცენტით, ხოლო 1948 წელ—73 პროცენტით.

მილიციის, სასამართლოს და პროკურატურის ორგანოები ძლიერ სუსტად გვეხმარებიან ტყის დაცვის წესების დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1948 წლის აპრილში სამინისტროს ოპერაციული წარმოებით ახალი ვერაფერი გვირჩია.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, პირადად ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სოციალისტური სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეს, წლითიწლობით დიდდება ასიგნებანი ამ დარგში. ამ ყურადღებასა და ზრუნვას მოწმობს ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1948 წლის 20 ოქტომბრის ისტორიული დადგენილება „სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ველიან და ტყეველიან რაიონებში უხვი და მყარი ძოსავლის უზრუნველსაყოფად მინდორსაცავი ტყის ზოლების, ნათესმალახაანი თესლბრუნვის, გუბურებისა და წყალსატევების მშენებლობის გეგმის შესახებ“. საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს ყოველდღიურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევენ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი კ. ჩარკვიანი.

საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკები მთელ თავიანთ ძალასა და ენერგიას მოანმარენ ამ დიდი ეროვნული შესრულებას, რომლებიც დგას ჩვენი რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის წინაშე. და ამით თავიანთ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიად საქმეში.

ამხ. ბ. ზედგინიძის სიტყვა

(საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი)

რუსთავის ბოლშევიკები ჩვენი რესპუბლიკის შემდგომი ინდუსტრიული აღმავლობისათვის ბრძოლის ყველაზე გაცხოველებულ უბანზე იმყოფებიან. ჩვენ ვაშენებთ მეტალურგიულ გიგანტს, აზოტტუკის ქარხანას, ახალ სოციალისტურ ქალაქს.

განვლილი დროის მანძილზე რუსთავში (ოტა მუშობა როდია შესრულებული: პარტიულმა ორგანიზაციებმა გაამრავლეს თავიანთი რიგები, გამტკიცეს ისინი ორგანიზაციულად, გამოაწრთვა იდეურ-პოლიტიკურად, გამოაუმჯარავეს და აღმოუხვრეს პარტიული რიგიდ სერიოზული ნაკლოვანებანი. ჩვენი პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებს არა ერთხელ გამოუჩენიათ თავდადებული შრომის მაგალითი. პარტიული და სამეურნეო მუშაობის სწორი შეხამების მეოხებით მიღწეულია მშენებლობის ტემპის ერთგვარი გაძლიერება. მაგრამ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები ჯერაც არ სრულდება.

ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ ქარხნის მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის მიზეზები შეიძლება ორ კატეგორიად გავყოთ, ერთი მხრივ, არასაკმარ მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა — ეს, ასე ვთქვათ, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზი, და ჩვენი არასაკმაო მუშაობა არსებული რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის — ადგილობრივი ხასიათის მიზეზი.

მე მსურს შევეხო ადგილობრივ მიზეზებს, რომლებიც დამოკიდებულია მთლიანად ჩვენზე, ჩვენს ორგანიზებულობაზე, არსებული ძალებისა და რეზერვების გამოყენების უნარზე.

ამჟამად რუსთავის პარტიულ ორგანიზაციაში ირიცხება 893 კომუნისტი, მათ შორის 150 საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი. ამ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად განმტკიცდა პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ერთი ობიექტის მშენებლობაზე მომუშავე სხვადასხვა ორგანიზაციათა კომუნისტების გაერთიანებული პარტიული კრებების გამართვის გზით მიღწეულ იქნა შეთანხმებულობა მშენებლობის მომიჯნავე უბნების მუშაობაში.

პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში მაინც გვაქვს მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. სუსტია პარტიული დისციპლინა, სათანადო სიმაღლეზე არ დგას საკავშირო კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატებთან მუშაობა, რის შედეგად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სტაჟგადაცილებულია. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სუსტად ახორციელებს ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლს. პარტიულმა ორგანიზაციამ დროულად ვერ შენიშნა გეგმის შესრულების შესახებ ყალბი ცნობების შედეგნის დანაშაულებრივი ფაქტები და წონის შემთხვევები.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესებისათვის უკანასკნელ ხანს ბევრი რამ გაკეთდა. პარტიული განათლების ქსელში სასწავლო წელი ორგანიზებულად დაიწყო. ამჟამად მუშაობს 6 პოლიტსკოლა, 8 პოლიტწრე, სალამოს პარტიული სკოლა. 514 კომუნისტი დამ. უკიდებლად მუშაობს თავისი პოლიტიკური ცოდნის ასამაღლებლად, 257 კომუნისტი პოლიტწრეებსა და პოლიტსკოლებშია ჩაბმული, 24 კომუნისტი პარტიულ სკოლაში სწავლობს.

მშენებელთანი მუშაობაა გაწეული ქალაქის საბჭოთა და ადმინისტრაციული დაწესებულებების შესაქმნელად. 1948 წლის დამდეგს რუსთავში შეიქმნა საქალაქო საბჭო. საბჭოს ამასკომის განყოფილებები დაკომპლექტებულია კარგი კადრებით. მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომი, განსაკუთრებით მისი კომუნალური განყოფილება, ჯერ-ჯერობით მთლიანად დატვირთული არ არის. ქალაქ რუსთავის მოსახლეობა სწრაფად მატულობს. ჩვენი ამოცანა, საქალაქო საბჭოს ამოცანა არის ნორმალური ცხოვრების პირობები შეეუქმნათ მოსახლეობის, უზრუნველყოთ იგი საჭირო კომუნალური და კულტურულ-საგანმანათლებლო მომსახურეობით.

ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა უმნიშვნელოვანესი ამოცანა დაუსახა რუსთავის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას — შეუნარჩუნოს მეტალურგიულ ქარხანას ახალგაზრდა კვალიფიციური მუშები. ამ უკანასკნელ ხანს რუსთავის საქალაქო კომიტეტმა მეტალურგიული ქარხნის დირექციასთან ერთად სერიოზული ღონისძიებანი განახორციელა და ძირითადი გარდატეხა მოახდინა ახალგაზრდა მუშების შენარჩუნებისათვის. ამის შემდეგ თითო-ოროლა შემთხვევა თუ იყო საწარმოდან თვითნებურად წასვლისა. ძირითადი ღონისძიებანი მიმართულია მუშებისათვის კარგი საყოფაცხოვრები და საწარმოო პირობების შექმნისაკენ.

ჩვენ ძირფესვიანად გარდავქმენით კომკავშირული და პარტიული მუშაობა ქარხნის ახალგაზრდა მუშათა შორის, ჩავაბინ ისინი სხვადასხვა ორგანიზაციასა და წრეში. ამჟ. ჩარკვიანის რეკომენდაციით ყოველ კავშირი დავამაყოფთ ხანგრძლივ შვებულებაში მყოფ მუშებთან. ამ ღონისძიებებმა დიდი გავლენა მოახდინეს და, არსებითად, ქარხნისათვის ახალ კადრების შესაქმნელად ბუმბოს ახალ ფორმას წარმოადგენენ.

ახალგაზრდა მუშებს შორის მუშაობის გაძლიერებაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს ალკ. ცენტრალურმა კომიტეტმა.

მინდა აღვნიშნო, რომ საფაბრიკო-საქარხნო სკოლების ცუდი მუშაობის ერთ-ერთი მიზეზია რაიონებში მოწყვეტა შეგროვების არასწორი მოწყობა, მასობრივ ახსნა-განმარტებითი მუშაობის უქონლობა. ჩვენ მხოლოდ მაშინ შევძლებთ მივაღწიოთ სკოლებში განთავსებას სრულ ლიკვიდაციას, თუ რაიონებში სწორად მოვაწყობთ ახალგაზრდობის შეგროვებას.

მშენებლობისათვის მუშათა კადრების შეგროვებაში მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლიათ პარტიის რაიონულ კომიტეტებს. ამ საქმეში მიაბამენ ბალბაძე თაოსნობა გამოიჩინა ჩოხატაურის რაიკომმა. მან რუსთავში მშენებლობაზე მუშად ივე სამუშაოდ გამოგზავნა 20 ახალგაზრდა კომუნისტი. ისინი ნამოგიყენეთ პასუხსაგებ საწარმოო უბნებზე, კარგი საყოფაცხოვრები პირობები შეეუქმენით. სხვა რაიკომებმაც რომ მიბაძონ ამ მაგალითს, მშენებლობა და ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მიიღებს კვალიფიციური მუშებისა და მოწინავე კომუნისტების მნიშვნელოვან კადრებს.

შესრულებული დიდი მუშაობის შედეგად რუსთავში უკვე ამეშავდა მეტალურგიული ქარხნის დამხმარე საამქროები. მშენებელთათვის აგებულია 18.000 კვადრატულ მეტრამდე მუდმივი და 100 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი დროებითი საცხოვრებელი ფართობი. 24 იანვარს საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად მშენებლებმა საქართველოს მოქმედ ელექტროსადგურთა მწყობრში ჩააყენეს რუსთავის თბოელექტროცენტრალის პირველი რიგი. მაგრამ მთლიანად მშენებლობა ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს, როგორც ამხანაგმა

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობა

კამათი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის და საერთაშორისო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო

(დასასრული)

ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, სუსტად არის გამოყენებული მექანიზმების არსებული პარკი, არის წუნის შემთხვევები წარმოებაში, ნაკლოვანებანი სამუშაო ადგილის მოწყობაში. ბრძოლა მშენებლობის ტემპის გაძლიერებისათვის, მოწინავე ტექნიკისა და მუშაობის მოწინავე მეთოდთა დანერგვისათვის რუსთავის ბოლშევიკების ცენტრალური ამოცანაა.

პირობას ვძლევ ყრილობას, რომ რუსთავის კომუნისტები პირნათლად განახორციელებენ იმ ამოცანებს, რაც ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში დასახა ქარხნისა და ქალაქ რუსთავის მშენებლობის საქმეში, და 1949 წელს გარდატეხას მიაღწევენ მუშაობაში.

ჩვენ უკვე გვაქვს რუსთავის თბოელექტროცენტრალის ელექტროენერგია. გვექნება ქართული ფოლადიც და ნაგლინიც.

ამხ. რ. კვირკველიას სიტყვა

(საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი)

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) მიღწევები XIII და XIV ყრილობებს შორის განვლილ პერიოდში წარმოადგენენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებისა და მითითების სწორი და თანმიმდევრული გატარებისა და ჩვენი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის ნების განხორციელების შედეგს.

საქართველოს ბოლშევიკები XIV პარტიულ ყრილობაზე მოვიდნენ მონოლითურად დარაზმულნი, იდეურად უფრო გამობრძმედილნი, მზადყოფნი შეასრულონ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის ყოველი საბრძოლო დავალება.

რესპუბლიკის მიღწევანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში მკაფიო გამოხატულებას პოულობენ ბიუჯეტის განვითარებით. საქართველოს სსრ ბიუჯეტმა 1948 წელს მიაღწია 2.316.696 ათას მანეთს ანუ, 1940 წელთან შედარებით 86 პროცენტით გადიდდა. ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე იზრდებოდა ძველი სამამულო ომის წლებში და ომის შემდეგ. საანგარიშო პერიოდში ეს ხარჯები თითქმის ერთიორად გადიდდა. ეს გარემოება ცხადყოფს ჩვენი სოციალისტური წყობილების თავისებურებას, ჩვენი საბჭოთა სამშობლოს უძლეველ ძალასა და ძლიერებას. უდიდესი განსაცდელისა და რესურსების ზღვრული დაძაბვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფომ გამონახა სახსრები და ძალები კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, ხალხის კეთილდღეობის ზრდის უზრუნველყოფისათვის და ამავე დროს მთლიანად დაეკმაყოფილა ომის წარმოების საჭიროებანი.

ეს საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვენი საყვარელი ბელადის, მამისა და მასწავლებლის დიდი სტალინის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია.

რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის 60 პროცენტზე მეტს შეადგენს შემოსავალი სახალხო მეურნეობისაგან, ბრუნვის გადასახადის, მოგების ანარიცხებისა და სხვა გადასახდელების სახით. ბრუნვის გადასახადთან ერთად ბიუჯეტის შემოსავალში წლითიწლობით მატულობს მოგების ანარიცხების ხვედრითი წონა, რაც იოსებ სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებით და რენტაბელობის გადიდებით.

მიუხედავად ერთგვარი სიძნელეებისა, რომლებიც ფულის რეფორმის შემდეგ წარმოიშვა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულების დარგში წინასწარი ცნობების თანახმად, 1948 წლის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის გეგმა შესრულებულია 99,6 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილის მოცულობის 0,4 პროცენტით შეუსრულებლობა ძირითადად მოდის ადგილობრივ ბიუჯეტებზე ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ღონისძიებათა დარგში.

ბრუნვის გადასახადის ანარიცხების, აგრეთვე მოსახლეობისაგან ასიათები გადასახადების გეგმების ნაწილობრივი შეუსრულებლობა დაფარული იყო სახალხო მეურნეობის მოგების ანარიცხებისა და სხვადასხვა საშემოსავლო წყაროების გეგმების გადაჭარბებით შესრულებით, რამაც 27 მილიონნაბიჯ მანეთი შეადგინა.

ზეგეგმითი ანარიცხებისა და მოგების ყველაზე მეტი თანხა ბიუჯეტს მისცეს: საგებოფეხო და კვების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კომუნალური მეურნეობის სამინისტროებმა. ამასთან ერთად, ზორკისა და რძის მრეწველობის სამინისტრომ ბიუჯეტს მოგების ანარიცხების დარგში დაიკლო დაახლოებით 14 მილიონი მანეთი.

სახალხო მეურნეობაში დაგროვების ზრდა გეიჩენებს სამეურნეო ანგარიშისა და მახეთით კონტროლის პრინციპების, წარმატებით განხორციელებს, ჩვენი საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, იგი მოწმობს შრომის ნაყოფიერების, ხარჯებში მომჭირნეობის შემდგომ ზრდას, დანაკარგთა შემცირებას და რენტაბელობის გადიდებას.

დანაკარგები და ზედნადები ხარჯები მნიშვნელოვნად შემცირდა საგემოვნო, საფეიქრო, ადგილობრივი და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროთა საწარმოებში. მაგრამ ჩვენს საწარმოებსა და სამეურნეო ორგანოებში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი რეზერვი და შესაძლებლობა თვითღირებულების შემდგომი შემცირებისათვის, წარმოების რენტაბელობის ამაღლებისა და დაგროვების გადიდებისათვის.

ეს რეზერვები, კერძოდ, იმალება სხვადასხვა დაუგეგმავ ზარალსა და უნაყოფო ხარჯებში, რომლებიც უკეთესი მუშაობისას შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა ან ძლიერ შეგვემცირებინა, რაც ბიუჯეტს ათობით მილიონ მანეთს მისცემდა. ბრუნვის გადასახადი ძვლავ ძირითადი მასახრდოებელი წყაროა როგორც რესპუბლიკური, ისე ადგილობრივი ბიუჯეტებისათვის. ამიტომ ყოველმა ავტონომიურმა რესპუბლიკამ და ოლქმა, ყოველმა ქალაქმა და რაიონმა ყველა ზომა უნდა მიიღოს, რომ ბრუნვის გადასახადის გეგმა 1949 წელს უთუოდ შესრულდეს, რაც დამოკიდებულია წარმოების მოცულობაზე და გამსაღებელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, არტელებისა და ფარათი მოხმარების საქონლის მწარმოებელი სხვა ორგანიზაციების მიერ საქონლის რეალიზაციაზე.

ჩვენს ეკონომიკაში მცირე როლს ოდი ასრულებს ადგილობრივი რაიონული მრეწველობა.

უკანასკნელ წლებში ადგილობრივი მრეწველობის რაიონულ განყოფილებებსა და რაიონულ სამრეწველო კომბინატებს ბიუჯეტთან ურთიერთობა არ ჰქონიათ და მას არაფერს არ ურიცხავდნენ.

ჩვენი რესპუბლიკის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ადგილობრივი მრეწველობისაგან გადასახდელების შემოსავლა 4.510 ათასი მანეთის რაოდენობით, აქედან 4.390 ათასი მანეთი საბრუნავი თანხებიის გარდამეტის ხარჯზე და 120 ათასი მანეთი მოგების ანარიცხების წესით, რაც როგორც საშემოსავლო წყარო მთლიანად გადაეცემა სათანადო ადგილობრივ ბიუჯეტებს.

თუ წინათ ადგილობრივი მრეწველობის რაიონული განყოფილებებისა და რაიონული სამრეწველო კომბინატების არადამაკმაყოფილებელი სამეურნეო საქმიანობა არ აფერეგდა ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ნორმალურ მსვლელობას, ახლა ეს უთუოდ იქონიებს გავლენას სათანადო რაიონების ბიუჯეტების მდგომარეობაზე. ამიტომ საჭიროა, რომ პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა სერიოზულად გაუთმაჯობესონ ხელმძღვანელობა და კონტროლი ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა მუშაობისადმი და მიიღონ მათი საქმიანობის გადაჭრით გაჯანსაღებას.

ზოგიერთი საწარმო და ორგანიზაცია საფინანსო ორგანოებუ უდგენს არასწორ საგადასახადო ანგარიშებს, ამცირებს ბიუჯეტში შესატან თანხებს და უკანონოდ იტოვებს ბარგზაში. 1948 წელს ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა, საკადასაბიო ანგარიშებს შემოწმების შედეგად, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს დამატებით დაარიცხეს გადასახდელები 32 მილიონზე მეტი მანეთის რაოდენობით. მთელმა რიგმა ადგილობრივმა საფინანსო ორგანოებმა ეს მუშაობა დაგვიანებით და არაკეთილსინდისიერად შეასრულა, რის შედეგადაც ბიუჯეტისათვის დიდანს გადაუხდელი რჩებოდა მნიშვნელოვანი თანხები.

1948 წელს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს აპარატმა რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში დამატებით გამოაელინა და დაარიცხა ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მიერ გამოუვლინებელი გადასახდელები ბიუჯეტისათვის 7.673 ათასი მანეთის რაოდენობით. ყველაზე დიდი თანხები გამოვლინებულ იქნა ბორჯომის, ქარელის, ლანჩხუთის, ხაშურისა და ზოგიერთ სხვა რაიონში.

საფინანსო ორგანოების მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანს წარმოადგენს გადასახადების აკრეფა მოსახლეობაში. ეს გადასახადები ეხებიან მშრომელთა ფართო ფენების ინტერესებს, და ამიტომ აქ საჭიროა დიდი წინდახედულება და სიზუსტე. 1948 წელს რესპუბლიკაში დიდი ღონისძიებანი განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში ადგილობრივი საფინანსო ორგანოების მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დარგში უფრო ორგანიზებულად და უფრო მაღალ დონეზე ჩატარდა, ვიდრე წინათ. ეს იყო აგრეთვე იმ დიდი მუშაობის შედეგი, რაც პარტიულმა ორგანოებმა ადგილობრივ გასწიეს. ეს მუშაობა კარგად შესრულდა აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში, აგრეთვე კაჯრეთის, ბოლნისის, ამბროლაურისა და ხობის რაიონებში.

ამასთან ერთად გამოვლინებულია სერიოზული დარღვევანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დრეს ცხაკიანს, ლანჩხუთის, ქარელის, ახმეტის, დუშეთისა და ზოგ სხვა რაიონში.

პარტიის საოლქო კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები და რაიონული კომიტეტები ახლა დიდ ყურადღებას აქცევენ საფინანსო საკითხებზე ჯუშაობას. საფინანსო ორგანოების მუშაობის მდგომარეობა და ბიუჯეტის შესრულება მათი ყოველდღიური მზრუნველობის საგანი გახდა. მაგრამ არიან ჯერდე ისეთი რაიონები, სადაც პარტიული ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

1 იანვრისათვის გადასახადთა და გამოსაღებთა ნარჩენები რესპუბლიკაში 29.303 ათას მანეთს შეადგენდა. ნარჩენების ყველაზე დიდი თანხა ირიცხებოდა ახალციხის, გორის, ქარელის, გურჯაანის, გეგეჭკორის, საჩხერის რაიონებზე.

მიდგინარე წლის 1 კვარტალში საჭირო ღონისძიებათა დაფინანსების უზრუნველსაყოფად უთუოდ მთლიანად უნდა შეგროვდეს ნარჩენები, რაც მოსახლეობასა და ორგანიზაციებზე ირიცხება.

ჩვენი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასთან ერთად ცოტა რიდი ფულადი სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა უყაირათო და უკანონო ხარჯვის შემთხვევები.

1948 წელს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო აპარატმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოავლინა სახელმწიფო სახსრების მნიშვნელოვანი თანხების დატაცებისა და უკანონოდ ხარჯვის ფაქტები.

ზოგიერთ რაიონში ანგარიშს არ უწევენ სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებს და ბიუჯეტით დაბაკებულ ასიგნობებს. სახალხო სამეურნეო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი ეს კანონია. საბიუჯეტო დისციპლინის მნიშვნელოვანი დარღვევები დაშვებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. საჭიროა, რომ ქალაქ სოხუმის კეთილმოწყობის ღონისძიებათა დაფინანსება, ისევე, როგორც ყველა სხვა ასეთი საშუშაოთა დარაზი, აფხაზეთში ხორციელდებოდეს არსებული კანონების, წესებისა და სახელმწიფო საბიუჯეტო დისციპლინის დაცვით.

მიუხედავად აკრძალვისა, ზოგიერთ რაიონში უშვებენ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების ნებადაურთველ მშენებლობას. ასეთი მოვლენები უნდა აღმოიფხვრას.

რესპუბლიკის საფინანსო სისტემის მუშაკები ძალისა და ენერგიას არ დაზოგავენ საფინანსო დისციპლინის განამტკიცებლად და სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში უმაცრესი ეკონომიის დასაცავად. მიიღწევენ სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას და ყველა იმ ღონისძიების შეუფერხებელ დაფინანსებას, რომელთაც ხელ სამუშაოთა სტალინური გეგმა ითვალისწინებს.

ამხ. ს. სილაგაძის სიტყვა

(მეზრომელთა დეპუტატების ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე)

საქართველოს ყველა მშრომელთან ერთად სერიოზული წარმატებანი მოიპოვა ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში ცაგერის რაიონის კოლმეურნე გლეხობამ. საანგარიშო პერიოდში კოლმეურნეობები უფრო განმტკიცდნენ ორგანიზაციულად და სამეურნეო მხრივ. ამან გამოხატულება პოვა კოლმეურნეობების ძირითად საშუალებათა ღირებულებისა და მათი განუყოფელი ფონდების ზრდაში. 1940 წელს ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 9.731.523 მანეთს, ხოლო 1948 წელს — 27.678.695 მანეთს. გადიდდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალიც. 1948 წელს ამ შემოსავალმა შეადგინა 8.116.068 მანეთი, რაც 371 პროცენტით აღემატება 1940 წლის შემოსავალს.

ცაგერის რაიონში ფართოდ გავრცელებულია მეგენახეობა. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამ კულტურას. 1941 წლის შემდეგ ბაზაში გაშენდა 106 ჰექტარი ახალი ვენახი და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი მოვლა. ჩვენი გლეხობა საფუძვლიანად დაეუფლა ამ კულტურას, რომელიც მისი შეძლებული ცხოვრების სერიოზული წყარო გახდა.

ამით აიხსნება, რომ წლითიწლობით მატულობს ყურძნის მოსავლიანობა. 1940 წელს ჰექტარზე მოყვანილ იქნა 34,6 ცენტნერი ყურძენი, ხოლო 1947 წელს—50 ცენტნერი. დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში რაიონის კოლმეურნე გლეხობამ იკისრა, რომ მევენახეობის დარგში 1947 წელს მიღწეულ წარმატებას განამტკიცებდა. რაიონის კოლმეურნეებმა მნიშვნელოვნად გაუთმაჯობესეს ვენახების მოვლა-დამუშავება და მიუხედავად გვალვისა, პირნათლად შეასრულეს ბელადის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. 1948 წელს ჰექტარ ვენახში, გეგმით გათვალისწინებული 38 ცენტნერის ნაცვლად, მოწეულია 55 ცენტნერი ყურძენი. გეგმითი დავალება შესრულებულია 144 პროცენტით, ხოლო ვალდებულება — 110 პროცენტით.

უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ცალკეულმა მოწინავე კოლმეურნეობებმა. სოფელ ორხევის კოლმეურნეობა „განთიადმა“, რომლის თავმჯდომარე ამხ. ა. ჭყარიანი ყრილობის დელეგატია, შაარშან 8 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყანა 101,8 ცენტნერი ყურძენი. ამავე კოლმეურნეობის მევენახეობის რგოლმა (ხელმძღვანელი კოლმეურნე ამხ. ტ. ქეარიანი), რომელსაც მიჩენილი ჰქონდა 3 ჰექტარი ვენახი, ჰექტარზე მოიწია 115 ცენტნერი ყურძენი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სერიოზული კულტურული მშენებლობა. რაიონში, რომელიც საუკუნეობით ჩამორჩებოდა კულტურულად, დღეს გაშლილია სკოლების ფართო ქსელი. საკმარისია ითქვას, რომ ახლა რაიონში მუშაობს 29 დაწყებითი, 15 რვაკლასიანი და 8 საშუალო სკოლა. 403 მასწავლებელი ასწავლის 6.447 მოსწავლეს.

ყოველწლიურად უმჯობესდება რაიონის მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება. მოწყობილია სამედიცინო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ფართო ქსელი. შენდება ორი ჰიდროელექტროსადგური მდინარე ლაჯანურზე 600 კილოვატის სიმძლავრისა, მდინარე რაჩაზე 270 კილოვატის სიმძლავრისა. რაიონის ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროს ამ ჰიდროელექტროსადგურების ვადაზე დასამთავრებლად. ეს სადგურები მთლიანად უზრუნველყოფენ ელექტროენერგიით რაიონის ყველა სოფელსა და კოლმეურნეობას.

წარმატებასთან ერთად მინდა აღვნიშნო ნაკლოვანებანიც.

ცაგერის რაიონი ყოველწლიურად ასრულებს მეცხოველეობის განვითარების გეგმას ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით, მაგრამ ამ მუშაობაში დიდ სიძნელეებს ვხვდებით. მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას ძალიან უშლის ხელს საზაფხულო და საზამთრო საძოვრების და პირუტყვის კონცენტრირებული საკვების ნაკლებობა. საძოვრების მთელი ფართობი, როგორც რაიონში, ისე მის გარეთ, შეადგენს 12.300 ჰექტარს. ამრიგად, თითო სულ პირუტყვზე, ნორმით გათვალისწინებული 2 ჰექტარის ნაცვლად, მოდის 0,45 ჰექტარი. ჩვენი თხრნაა რაიონს დამატებით გამოეყოს საძოვრები.

ბზების გასაყვანად თუმცა დიდი სამუშაოები შესრულდა, მაგრამ რაიონი ჯერ კიდევ განიცდის უბზობას. ჩვენ დროზე დავაყენეთ რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების წინაშე ქუთაისსა და ცაგერს შუა ახალი გზის გაყვანის საკითხი. რესპუბლიკის ორგანოებმა და პირადად ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა რაიონს დიდი დახმარება გაუწიეს, და გზის მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ ომამდე. ომის დროს მშენებლობა შეწყდა. 1946-47 წლებში შესრულდა 150.000 კუბმეტრი მიწისა და ქლდის სამუშაო და აგებულ იქნა ახალი ხიდი. 1947 წლის დამლეგისათვის ახალი საავტომობილო გზის პირველმა 24 კილომეტრმა, რაიონის ცენტრი დაუკავშირა მაღალი მთის სოფელ ოფიტარას, სადაც წინათ მხოლოდ ქვეითად ასვლა შეიძლებოდა.

მაგრამ 1948 წელს გზის მშენებლობა შეწყდა. ვთხოვთ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შეიტანონ 1949 წლის გეგმაში ამ გზის მშენებლობა.

ცაგერის რაიონის ბოლშევიკები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით შეძლებენ რაიონის წინაშე დასახული ყველა ამოცანის განხორციელებას და მიაღწევენ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ახალ აღმავლობას, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

ამხ. ი. კოჭლამაზაშვილის სიტყვა

(საქართველოს კომუნისტურ კავშირთა საბჭოს თავმჯდომარე)

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა ამომწურავი სისრულითა და სიცხადით გააშუქა ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკების მიერ XIII ყრილობიდან XIV ყრილობამდე გაწეული უდიდესი მუშაობა.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად უდიდესი პატრიოტული აღფოთოვანებით წყვეტენ ამქამად ახალ ამოცანებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის აყვავებას, ხალხის მასების კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სოციალისტურ მშენებლობაში უდიდეს როლს ასრულებენ პროფესიული კავშირები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას წარმოადგენენ. საბჭოთა პროფესიული მოძრაობის უდიდესი გაქანება იმის შედეგია, რომ ჩვენი პროფკავშირები განუხრელად ახორციელებენ ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს წარმოადგენს.

სახალხო მეურნეობის განუზრელ ზრდასთან, მუშა-მოსამსახურეთა კადრების ზრდასთან ერთად რეცხვრობრივად იზრდებოდნენ და ორგანიზაციულად მტკიცდებოდნენ საქართველოს პროფკავშირები. 1949 წლის პირველი იანვრის ცნობებით, საქართველოს პროფკავშირები აერთიანებენ 450 ათასზე მეტ კაცს ანუ ყველა მომუშავეთა 90 პროცენტს. მარტო ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში პროფკავშირის წევრთა რაოდენობა 60 ათასი კაცით გადიდდა.

ამჟამად საქართველოში არის 31 რესპუბლიკური, 2 ავტონომიური და ერთი ცენტრალური პროფკავშირული კომიტეტი.

საქართველოს პროფკავშირებში არის 8 ათასამდე საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი, გარდა მრავალრიცხოვანი საამქრო კომიტეტისა და პროფფუგუფორგებისა.

ამ მრავალ პროფკავშირულ ორგანიზაციათა ზუსტი, შეთანხმებული მუშაობა იძის უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომ საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები დაეხმარნოთ სახელმწიფო გეგმების წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, წარმოების საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიღწევისათვის, შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის საბრძოლველად. უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა რესუბლიკური და საქარხნო კომიტეტი როდი დგას მთა წინაშე დასახული ამოცანების დონეზე.

პროფკავშირთა რესუბლიკური კომიტეტების მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებაა ის, რომ სათანადო ყურადღებასა და დახმარებას ვერ უწევენ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და პროფფუგუფორგებს.

ჩვენში საკმაოდ ბევრია საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი და პროფფუგუფორგი, რომლებიც უძღვებიან თავიანთი კოლექტივების საწარმოო ამტივობას. უნარიანად აწყობენ კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობას, ხერხავენ რაციონალიზატორულ წინადადებებს, აუმჯობესებენ მუშა-მოსამსახურეთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს. ჩვენ ენდა მივაღწიოთ მათი მუშაობის დადებითი გამოცდილების რაც შეიძლება მალე გავრცელებას და ჩამორჩენილი საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებისა და პროფფუგუფორგების მუშაობის მკეთრ გაუმჯობესებას.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის საყოველთაო სახალხო მოძრაობა პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მათი აქტივობის გაძლიერებას სოციალისტური შეჯიბრების განვითარებაში და მუშა-მოსამსახურეთა შორის მასობრივი მუშაობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

პროფკავშირების მასობრივი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ფორმას და მასების კომუნისტური აღზრდის ქმედითს საშუალებას წარმოადგენენ საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების საერთო კრებები. მაგრამ პროფკავშირების ბევრი რესპუბლიკური, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტი ჯერ-ჯერობით არ აფასებს საერთო კრებების მნიშვნელობას, უყურადღებოდ ეკიდება მათს მომზადებასა და მოწყობას, არ ზრუნავს, რომ საერთო კრებების გადაწყვეტილებანი წარმატებით სრულდებოდეს.

უკვე ორ თვეზე მეტია მიმდინარეობს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანოების ანგარიშები და არჩევნები. ანგარიშები და არჩევნები დამთავრდა 34-დან 29 დარგობრივ პროფკავშირში.

საანგარიშო-საარჩევნო კრებები საწარმო-დაწესებულებებში მაღალ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ დონეზე, ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაჩაღების საფუძველზე მიმდინარეობს. პროფკავშირული ორგანოების შემადგენლობაში ასახელებენ წარმოების საუკეთესო ადამიანებს, მოწინავე საზოგადოებრივ მუშაკებს.

ამასთანავე ზოგიერთ საწარმოსა და დაწესებულებაში ანგარიშებისა და არჩევნების დროს უხეშად დაარღვიეს პროფკავშირული დემოკრატია. მაგალითად, თბილისს № 1 სამკერეალო ფაბრიკაში ნაცვლად იმისა, რომ ცვლებში მოეწყოთ საერთო კრებები, საერთო საფაბრიკო კონფერენცია გამართეს, რომელზეც საფაბრიკო კომიტეტის ანგარიში არ მოუსმენიათ, საფაბრიკო კომიტეტის არჩევნები დამატებით არჩევნებთან შეეცალეს. ანალე სამკერეალო ფაბრიკაში და საგალანტერეო ფაბრიკა „კომკავშრომელში“ ანგარიშებისა და არჩევნების წინ არ მოუწყვიათ პროფფუგუფორგებისა და საამქრო კომიტეტთა ანგარიშები და არჩევნები.

როგორც შეუწყნარებელი მოვლენა, უნდა აღინიშნოს, რომ საწარმო-დაწესებულებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი, როგორც ჩანს, საანგარიშო-საარჩევნო კრებების მნიშვნელობას ჯეროვნად ვერ აფასებს; მათ თავის მოვალეობად არ მიიჩნიეს ამ კრებებზე დასწრება.

ომისშემდგომ წლებში საქართველოს პროფკავშირებმა საკმაოდ დიდი მუშაობა გასწიეს სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის შემდგომი გაჩაღებისათვის. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ შეჯიბრების მოწყობასა და მის ხელმძღვანელობაში ბევრ რიგ საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებსა და რესპუბლიკურ კომიტეტებში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი გვაქვს. ამ მხრივ დამახასიათებელია საფქვავი მრეწველობისა და ელექტროტრანსის, საშენ მასალათა მრეწველობის, სათბობის საწარმოთა მშენებლობის, პოლიგრაფიული მრეწველობის, ხის დამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების ბევრი ადგილობრივი და საქარხნო კომიტეტის მუშაობა. ეს ორგანიზაციები იყენებდნენ სოციალისტური შეჯიბრების სტანდარტულ ხელმეკრულებათა ბეჭდვის მეთოდს, რაც ფანი და გმობილია, ამასთან ზოგიერთ ხელშეკრულებაში წინასწარ იყო ჩაწერილი მუშათა ვალდებულებანი.

მთელ რიგ საწარმოებში არა რეგულარულად აჯამებენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, სტახანოველთა მუშაობის მეთოდებს თავის დროზე არ ავრცელებენ მუშებში.

პროფკავშირები მოვალენი არიან აღმოფხვრან ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, მიაღწიონ იმას, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობდეს ყველა მუშა და მოსამსახურე, ხელი შეუწყონ წარმოების ნოვატორების მიღწევათა ფართო გავრცელებას.

როგორც ცნობილია, 1947 წელს, წარსული წლების მაგალითის მიხედვით, განახლდა კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება. კოლექტიური ხელშეკრულების ამოცანა უზრუნველყოს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება, შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდა, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, ავრეთვე გაამდიერის სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

მეტწილ საწარმოებში კოლექტიური ხელშეკრულებანი ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება. მაგრამ არის ისეთი საწარმოებიც, სადაც ამ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ცალკეული პროფკავშირები ცუდად იყენებენ შრომის დაცვის, უსაფრთხოობის ტექნიკის, საბინაო-კომუნალური მშენებლობის საკითხებში მათთვის მინიჭებულ სახელმწიფო კონტროლის დიდ უფლებებსა და ფუნქციებს.

ჩვენი რესპუბლიკის პროფორგანიზაციებს მნიშვნელოვანი შესაძლებლობა აქვთ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განაჩაღებლად. მაგრამ ბევრი კლუბი, წითელი კუთხე, ბიბლიოთეკა, კინოდანადგარი მაინც არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. პროფკავშირების ამოცანაა გადაჭრით გაუმჯობესონ მთელი პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა.

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა საანგარიშო მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს პროფკავშირების სერიოზული ჩამორჩენა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში.

საქართველოს პროფკავშირებში ფიზკულტურა და სპორტი ჯერ კიდევ არ გამხდარა მასობრივი. ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა მონაწილეობა ერთორ დაბალია და პროფკავშირთა წევრების საერთო რაოდენობის 10 პროცენტს არ აღემატება. ზმირად ფიზკულტურული და სასპორტო მუშაობის ხარისხიც დაბალ დონეზეა. ყველაზე მნიშვნელოვანი და მასობრივი სახის სპორტი — მძლეოსნობა, ტანვარაჯიში, ცურვა, ფრენბურთი, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მშრომელებში, საკმაოდ განვითარებული არ არის.

ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა უახლოეს ხანში გავაუმჯობესოთ მთელი ფიზკულტურულ-სასპორტო მუშაობა პროფკავშირებში და ნამდვილად მასობრივი გავხადოთ იგი.

პროფესიულ კავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს XIX პლენუმის გადაწყვეტილებით, რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში შექმნილია პროფკავშირთა საბჭოები. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფკავშირთა მთელი მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის, მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის, პროფკავშირული ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

პროფკავშირების წინაშე დასახული გადიდებული ამოცანების შესრულება პროფკავშირული მუშაკებისგან მოითხოვს იდეურ-პოლიტიკური დონის სისტემატურ ამაღლებას. მხოლოდ ამ გზით შეძლებენ ისინი პირნათლად შესრულონ მათ წინაშე მდგომი ამოცანები საბჭოთა სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ეჭვი არ არის, რომ პროფკავშირები, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და პირადად ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის ყოველდღიური ხელმძღვანელობით, პარტიის სოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების დახმარებით შეასრულებენ მათთვის დაკის

უცხოეთის გამოხმაურება ი. ბ. სტალინის მიერ „ინგერნეიშნლ ნიუს სერვისის“ საკგენტოს ევროპის გენერალურ დირექტორ კინგსბერი სმიტისთვის გაცემული პასუხის გამო

ამერიკის შეერთებული შტატები

ნიუ-იორკი, 3 თებერვალი. (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის საგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტის ცნობით, კონგრესის კომენტარები ი. ბ. სტალინის მიერ კინგსბერი სმიტისადმი გაცემულ პასუხზე ერთმანეთის საწინააღმდეგო ხასიათისაა.

სენატორმა ლუკასმა აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ ორი მთავრობის მეთაურები ერთმანეთს შეხვდნენ. იგი ამტკიცებენებს, რომ მოლაპარაკებისათვის გამოყენებულ იქნას დიპლომატიური გზები.

სენატორმა სპორკმენმა (დემოკრატი, ალაბამის შტატი) თქვა, ჩემი დიდი სურვილია, რომ სტალინი და ტრუმენი „ერთმანეთს შეხვდნენ ან ყველა საქმე განხილონ“. სენატორმა რასელმა (დემოკრატი, გეორგიის შტატი) განაცხადა, რომ იგი საერთოდ საეპატეკტორო ეუფრაბს წინააღდეგებას, მაგრამ დასძინა. „მე არა მსურს რომ ერთიერთგაგების შესაძლო მიღწევის კარი დიხუროს“.

ნიუ-იორკი 2 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ-იორკ ჯორნნელ ენდ ამერიკე